

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12
2014 წლის 11 აპრილი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №52 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 30/12/2013; 190020020.35.148.016181) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	42 897,1	27 351,4	9 524,4	17 827,0	28 257,0	9 797,4	18 459,5
გადასახადები	2 286,6	2 521,6	0,0	2 521,6	2 300,0	0,0	2 300,0
გრანტები	38 036,8	21 691,3	9 524,4	12 166,9	23 656,9	9 797,4	13 859,5
სხვა შემოსავლები	2 573,7	3 138,5	0,0	3 138,5	2 300,0	0,0	2 300,0
ხარჯები	32 833,1	22 548,6	7 753,8	14 794,8	17 566,2	564,8	17 001,4
შრომის ანაზღაურება	2 287,1	3 548,9	0,0	3 548,9	3 321,2	0,0	3 321,2
საქონელი და მომსახურება	5 216,1	4 101,0	514,2	3 586,7	4 785,4	250,8	4 534,6
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	95,5	74,0	0,0	74,0	49,2	0,0	49,2
სუბსიდიები	6 041,5	8 344,2	2 284,0	6 060,2	7 411,5	0,0	7 411,5
გრანტები	5 720,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	659,9	2 196,2	1 415,4	780,8	820,2	121,4	698,8
სხვა ხარჯები	12 813,0	4 284,3	3 540,1	744,2	1 178,8	192,7	986,1



საოპერაციო საღდო	10 064,0	4 802,8	1 770,6	3 032,2	10 690,8	9 232,6	1 458,2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	13 176,6	5 771,1	4 563,9	1 207,2	11 546,1	9 158,1	2 387,9
ზრდა	14 198,8	6 146,7	4 563,9	1 582,8	11 746,1	9 158,1	2 587,9
კლება	1 022,2	375,6	0,0	375,6	200,0	0,0	200,0
მთლიანი საღდო	-3 112,6	-968,3	-2 793,3	1 825,0	-855,3	74,4	-929,8
ფინანსური აქტივების ცვლილება	-3 252,7	-1 130,0	-2 793,3	1 663,3	-1 041,9	74,4	-1 116,4
ზრდა	0,0	1 663,3	0,0	1 663,3	74,4	74,4	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	1 663,3		1 663,3	74,4	74,4	
კლება	3 252,7	2 793,3	2 793,3	0,0	1 116,4	0,0	1 116,4
ვალუტა და დეპოზიტები	3 252,7	2 793,3	2 793,3		1 116,4		1 116,4
ვალდებულებების ცვლილება	-140,1	-161,7	0,0	-161,7	-186,6	0,0	-186,6
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	140,1	161,7	0,0	161,7	186,6	0,0	186,6
საშინაო	140,1	161,7	0,0	161,7	186,6	0,0	186,6
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

ბ) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილ იტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილ იტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	43 919,3	27 727,0	9 524,4	18 202,6	28 457,0	9 797,4	18 659,5
შემოსავლები	42 897,1	27 351,4	9 524,4	17 827,0	28 257,0	9 797,4	18 459,5
არაფინანსური აქტივების კლება	1 022,2	375,6	0,0	375,6	200,0	0,0	200,0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0			
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0			
გადასახდელები	47 172,0	28 857,0	12 317,7	16 539,3	29 498,9	9 723,0	19 775,9



ხარჯები	32 833,1	22 548,6	7 753,8	14 794,8	17 566,2	564,8	17 001,4
არაფინანსური აქტივების ზრდა	14 198,8	6 146,7	4 563,9	1 582,8	11 746,1	9 158,1	2 587,9
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0			
ვალდებულებების კლება	140,1	161,7	0,0	161,7	186,6	0,0	186,6
ნაშთის ცვლილება	-3 252,7	-1 130,0	-2 793,3	1 663,3	-1 041,9	74,4	-1 116,4

გ) დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 28 257,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	42 897,1	27 351,4	9 524,4	17 827,0	28 257,0	9 797,4	18 459,5
გადასახადები	2 286,6	2 521,6	0,0	2 521,6	2 300,0	0,0	2 300,0
გრანტები	38 036,8	21 691,3	9 524,4	12 166,9	23 656,9	9 797,4	13 859,5
სხვა შემოსავლები	2 573,7	3 138,5	0,0	3 138,5	2 300,0	0,0	2 300,0

დ) დადგენილების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 23 656,9 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
გრანტები	38 036,8	21 691,3	23 656,9
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები			
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	38 036,8	21 691,3	23 656,9
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	11 004,8	12 166,9	13 859,5
გათანაბრებითი ტრანსფერი	10 739,8	11 901,9	13 594,5
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების			



განსახორციელებლად	265,0	265,0	265,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	27 032,0	9 524,4	9 797,4
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	18 825,0	6 004,6	7 829,4
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1 991,9	2 040,6	1 968,0
მგფ-ის თანადაფინანსება			
სხვა პროექტები	1 630,0		
წერეთლის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია			
მთავრობის სარეზერვო ფონდიდან	3 525,2	1 479,2	
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან	1 060,0		

ე) დადგენილების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 29 498,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	32 833,1	22 548,6	7 753,8	14 794,8	29 498,9	9 723,0	19 775,9
შრომის ანაზღაურება	2 287,1	3 548,9	0,0	3 548,9	3 321,2	0,0	3 321,2
საკონელი და მომსახურება	5 216,1	4 101,0	514,2	3 586,7	4 785,4	250,8	4 534,6
პროცენტი	95,5	74,0	0,0	74,0	49,2	0,0	49,2
სუბსიდიები	6 041,5	8 344,2	2 284,0	6 060,2	7 411,5	0,0	7 411,5
გრანტები	5 720,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	659,9	2 196,2	1 415,4	780,8	820,2	121,4	698,8
სხვა ხარჯები	12 813,0	4 284,3	3 540,1	744,2	1 178,8	192,7	986,1

ვ) დადგენილების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება



განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 11546.1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 11746.1 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება	194,1	15,9	128,3
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	25,5	0,0	202,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	12358,4	5593,1	9931,0
04 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	35,8	227,5	400,0
05 00	სპორტული და კულტურული ღონისძიებები	1565,0	305,3	1013,5
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	20,0	4,9	71,3
სულ ჯამი		14198,8	6146,7	11746,1

ბ) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 200.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	1 022,2	375,6	200,0
ძირითადი აქტივები	50,8	375,6	200,0

ზ) დადგენილების მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	8 733,0	3 857,5	4 113,9
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	8 637,5	3 783,5	4 064,7
70111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	8 637,5	3 783,5	3 964,7
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა			100,0



7013	საერთო დანიშნულების მომსახურება			
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება			
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	95,5	74,0	49,2
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში			
702	თავდაცვა	119,4	155,3	172,9
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	730,8	628,4	847,1
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	266,8	0,0	0,0
7032	სახანძარო-სამაშველო სამსახური	464,0	628,4	847,1
704	ეკონომიკური საქმიანობა	14 692,9	6 251,7	5 069,5
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა			
70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა			
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	3 784,2	692,0	200,0
70421	სოფლის მეურნეობა	3 784,2	692,0	200,0
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა			
70443	მშენებლობა			
7045	ტრანსპორტი	7 917,4	3 712,3	3 132,3
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7 778,5	3 712,3	3 122,3
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	138,9		
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2 991,3	1 847,4	1 737,2
705	გარემოს დაცვა	883,4	1 667,8	5 321,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამამუშავება და განადგურება	775,3	1 231,6	1 263,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	108,1	436,2	4 058,0
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა			
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	11 672,5	4 174,8	4 245,8
7061	ბინათმშენებლობა	8 418,5	42,5	0,0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	25,0	37,1	130,0
7063	წყალმომარაგება	145,9	38,3	1 067,6
7064	გარე განათება	911,2	635,4	672,9
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	2 171,9	3 421,5	2 375,3
707	ჯანმრთელობის დაცვა	141,1	194,9	301,3



7072	ამბულატორიული მომსახურება	25,2	74,9	176,3
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	25,2	74,9	176,3
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	115,9	120,0	125,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	6 693,6	7 386,2	5 700,8
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	4 703,4	3 851,5	3 132,6
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 940,3	3 504,7	2 538,2
7083	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	30,0	30,0	30,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	19,9		
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში			
709	განათლება	1 199,1	2 314,5	2 800,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 199,1	2 314,5	2 800,0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება			
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში			
710	სოციალური დაცვა	2 166,1	2 064,2	740,1
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	194,0	213,7	190,5
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	103,3	112,2	125,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	90,7	101,5	65,5
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	3,6	2,4	5,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	1,5	20,4	5,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	42,5	60,8	70,0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	5,3	12,4	15,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1919,2	1754,5	454,6
	სულ ჯამი	47031,9	28695,3	29312,3

თ) დადგენილების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 855.3 ათასი ლარის ოდენობით“.

ი) დადგენილების მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება



1. განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 1041.9 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1164.4 ათასი ლარის ოდენობით“.

კ) დადგენილების მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები.

მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

1.1. საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ღონისძიებები.

1.2. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა და წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების მოასფალტება და განათება, დასასვენებელი პარკების და სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, სოფლებში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში საავტომობილო გზების მოვლა, ქალაქის დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება და რეაბილიტაცია, სიჩქარის შემზღვევლების მოწყობა, დამატებით შუქნიშნების მოწყობა, ქუჩების მოვლა ზამთრის სეზონზე, ქალაქის ქუჩების დამისამართების და ღირსშესანიშნავი ობიექტების აბრების მოწყობა, საავტომობილო გზებზე უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა და მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია.

2.1.1. გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში საავტომობილო



გზების მოვლა, ქალაქის დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება და რეაბილიტაცია, სიჩქარის შემზღვევლების მოწყობა, დამატებით შუქნიშნების მოწყობა, ქალაქის ქუჩების დამისამართების და ღირსშესანიშნავი ობიექტების აბრების მოწყობა, საავტომობილო გზებზე უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა და მიწისქვეშა გადასასვლელების რეაბილიტაცია.

დასრულდება ცხინვალის გზატკეცილის 1,1 კმ-დან გზატკეცილის 700 მეტრის მონაკვეთში პარალელური ქუჩის ჩამოყალიბება და გზებს შორის გაზონის მოწყობა და ცხინვალის გზატკეცილისა და მელიქიშვილის ქუჩების დამაკავშირებელი 500 მეტრის სიგრძის გზისა და აღნიშნული გზის მონაკვეთზე მდ. მეჯუდაზე საავტომობილო ხიდის მშენებლობის პირველი ეტაპი.

დაიწყება ქალაქ გორში იოსებიძისა და ჯავახიშვილის ქუჩების რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა, ცხინვალის გზატკეცილისა და მელიქიშვილის ქუჩების დამაკავშირებელი 500 მეტრის სიგრძის გზისა და აღნიშნული გზის მონაკვეთზე მდ. მეჯუდაზე საავტომობილო ხიდის მშენებლობის მეორე ეტაპი და ქალაქის ქუჩების ეზოების და ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაცია.

განხორციელდება ქალაქ გორში გზების დახაზვა,პირობითი საგზაო ნიშნების დამონტაჟება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათვალთვალო კამერების შეძენა დამონტაჟება.

2.1.2. ქუჩების მოვლა ზამთრის სეზონზე (პროგრამული კოდი 03 01 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზამთრის სეზონზე ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების და ქუჩებში შეფერხებული მოძრაობის თავიდან აცილების მიზნით ტექნიკური მარილის შეძენა და ქუჩების დამუშავება.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები, სანიაღვრე არხების მოწყობა-მოვლა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალური და რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობის, ინფრასტრუქტურული პროექტების და ამხანაგობების თანადაფინანსება, ქალაქ გორში მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენის და სანერგე მეურნეობის ხელშეწყობა.

2.2.1. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების მიზნით პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის ზოგიერთი უბნის გარე განათების მოწყობა და ქუჩების, შენობების, ხიდების, შადრევნების განათების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია, ასევე სოფლებში გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.

ქალაქის იერსახის შენარჩუნების და შემდგომი გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებულია შენობების და ნაგებობების დეკორატიული განათების მოწყობა-ექსპლოატაცია.

ქალაქის შენობა-ნაგებობებზე, ეკლესია-მონასტრებზე, სოფლების გარე და დეკორატიულ განათებაზე დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების დაფარვა.

2.2.2. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, მოსახლეობიდან, ორგანიზაციებიდან, სასაფლაოდან და სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ურნების გათავისუფლება და სანიტარული დამუშავება (პერიოდულად), ცენტრალური ნაგავსაყრელის მოვლა.

ნარჩენების უკეთ მართვისათვის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სხვადასხვა სპეციალური დანიშნულების ტექნიკის შეძენას.



2.2.3. საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის გაწმენდა, მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ქუჩებისათვის ახალი სანიაღვრე არხის მოწყობა და არსებული ქუჩების მიმდებარე სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები (15 დღეში ერთხელ).

დასრულდება ქალაქ გორში, სადგურის დასახლებაში ახალი საკანალიზაციო ქსელის მოწყობის პირველი ეტაპი და დაიწყება მეორე ეტაპი.

იგეგმება დევნილი მოსახლეობისადმი საერთო მნიშვნელობის ტექნიკური კონსტრუქციული ელემენტების და კეთილმოწყობითი პრობლემების მოწესრიგების ხელშეწყობის მიზნით სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების გაწმენდა, მოწყობა ან სარემონტო სამუშაოების შესრულება.

2.2.4. წყლის სისტემის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

განხორციელდება დევნილთა დასახლებებში სასმელი წყლის ჭაბურღილების ფუნქციონირებისათვის საჭირო ელ.ენერჯის ღირებულების ანაზღაურება მუნიციპალიტეტის მიერ.

დასრულდება წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და ახალი ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები.

დაიწყება სოფელ ქვახვრელის სასმელი წყლის ჭაბურღილის და რეზერვუარის მოწყობა და სოფელ ნაწრეტის წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

განხორციელდება ვერხვების დევნილთა ჩასახლების სასმელი წყლის გაჟონვის სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულება.

იგეგმება დევნილი მოსახლეობისადმი საერთო მნიშვნელობის ტექნიკური კონსტრუქციული ელემენტების და კეთილმოწყობითი პრობლემების მოწესრიგების ხელშეწყობის მიზნით წყალგაყვანილობის სისტემის მოწყობა ან სარემონტო სამუშაოების შესრულება.

2.2.5. გაზგაყვანილობის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება დევნილი მოსახლეობისადმი საერთო მნიშვნელობის ტექნიკური კონსტრუქციული ელემენტების და კეთილმოწყობითი პრობლემების მოწესრიგების ხელშეწყობის მიზნით გაზგაყვანილობის სისტემის მოწყობა ან სარემონტო სამუშაოების შესრულება.

2.2.6. სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფლებში სარწყავი არხების სატუმბი სადგურების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების დაფარვა.

2.2.7. მუნიციპალიტეტის და რეგიონული განვითარების სააგენტოების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 10)

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური პრობლემების და მოთხოვნილებების შესწავლის, მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის განსახორციელებელი პროექტებისათვის თანხების მოძიების, დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ სკითხვებზე გამოკითხვების ჩატარების, ხელისუფლების და ბიზნეს სექტორის მიერ საინვესტიციო შესაძლებლობების ანალიზის, უცხოურ ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარების და განვითარების სხვა პროგრამების შემუშავების მიზნით დაგეგმილია სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯების უზრუნველყოფა სუბსიდირების გზით.

რეგიონული განვითარების სტრატეგიის განსახორციელებლად ადგილობრივ თვითმმართველობასთან მჭიდრო თანამშრომლობით სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად ფინანსური მხარდაჭერა



2.2.8. ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 11)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების და შემდგომში პრობლემის გადაჭრის მექანიზმის შექმნის მიზნით მუნიციპალიტეტი აცხადებს მზადყოფნას გარკვეული თანადაფინანსებით წახალისოს ყველა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო, არასამთავრობო, სათემო, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო და სხვა), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას პროექტის განხორციელებისათვის.

2.2.9. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსება. თანადაფინანსების შემთხვევაში აღნიშნული პროექტი უნდა ითვალისწინებდეს მრავალსართულიანი სახლების, ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და მათი მიმდებარე ფართობების ინფრასტრუქტურის განვითარებას.

2.2.10. ქალაქ გორში მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება ქალაქ გორში მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენის ხელშეწყობა

2.3. კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტში არსებული გამწვანების სამსახურის და სანერგე მეურნეობის მიერ სკვერების და გაზონების გამწვანება, მოვლა-შენახვა და რეკონსტრუქცია. ასევე იგეგმება შადრევნების, მოსაცდელების, მემორიალური დაფების, ეზოების, სპორტული მოედნების მოვლა-შენახვისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებები.

2.3.1. საახალწლოდ ქალაქის მორთვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 01)

წინა საახალწლო ღონისძიებების განსახორციელებლად ქალაქის გაფორმების სამუშაოების უზრუნველყოფა კერძოდ: ხელოვნური ნაძვისხის მონტაჟი და დემონტაჟი, შენობებზე, ხის ვარჯებზე და ქუჩებში გაბმულ სადენებზე სხვადასხვა სახის დეკორატიული სანათების მოწყობა და დემონტაჟი.

2.3.2. შადრევნის მოვლა-შენახვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შადრევნების გაწმენდა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია.

2.3.3. სკვერების და გაზონების ექსპლოატაცია, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 03 03)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის და სანერგე მეურნეობის ხელშეწყობა, რათა მათ მიერ განხორციელდეს სკვერების და გაზონების მოვლა, ახალი მწვანე ნარგავების შეძენა, დარგვა და გამწვანების ზოლებში სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება და საჭიროების შემთხვევაში სკვერების რეკონსტრუქცია. ასევე გამწვანებისთვის და ქარსაცავი ზოლის მოწყობისათვის საჭირო ნერგების გამოყვანა, დაკალმვა და ნიადაგის მოვლა და დაზიანებული ხეების გასხვლა-გადაბეღვის სამუშაოები.

სანერგე მეურნეობის მიერ განხორციელდება ქალაქ გორში კვერნაკის ფერდობზე სამოსახლო განაშენიანებისა და სასაფლავო შორის არსებულ ზოლში ტყე-პარკის გაშენება და ჭალის დასახლებაში მშენებარე რაგბის კომპლექსისა და მდინარე მტკვარს შორის არსებულ ზოლში ქარსაცავი ზოლის გაშენება.



2.3.4. მოსაცდელების მოწყობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 03 04)

გათვალისწინებულია ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოსაცდელების მოვლა-პატრონობა და საჭიროების შემთხვევაში რეაბილიტაცია.

2.3.5. აბრების და მემორიალების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 06)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ღირსშესანიშნავი ობიექტების აბრების და ცნობილი მოქალაქეების სახელის უკვდავსაყოფად მათ საცხოვრებელ სახლებზე მემორიალური დაფების მოწყობა

2.3.6. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, სახურავების და ლიფტების რეაბილიტაცია და ეზოების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 07)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ გორში ყიფიანის ქუჩის №33 ბინის რეაბილიტაცია და მასში მაცხოვრებელი მოქალაქეების დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.

იგეგმება დევნილი მოსახლეობისადმი საერთო მნიშვნელობის ტექნიკური კონსტრუქციული ელემენტების და კეთილმოწყობითი პრობლემების მოწესრიგების ხელშეწყობის მიზნით მხოლოდ საერთო საცხოვრისში სახურავის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება.

2.3.7. სპორტული მოედნების მოწყობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 03 08)

დაგეგმილია ახალი სპორტული მოედნის მოწყობა და არსებული სპორტული მიწის მოედნების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების დაფინანსება.

2.3.8. დეფექტური აქტების, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 03 09)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესის გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს, ასევე აუცილებელ შესრულებულ სამუშაოებზე ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამების ფარგლებში დაგეგმილია ზემოთაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

2.3.9. გორის გრაფიკული ვიზუალიზაციისათვის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების სამგანზომილებიანი მოდელირება, მასზე არსებული ინფორმაციის მიმარგება და ინტერნეტ სივრცეში განთავსება. გეოინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სასოფლო და არასასოფლო მიწის ნაკვეთების და შენობა-ნაგებობების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით და მათი ექსპლოატაციისათვის აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველყოფა.

2.3.10. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გასულ წელს აღებული ვალდებულებების ფარგლებში სამუშაოების დასრულება.

ასევე გათვალისწინებულია მიმდინარე წლის პროგრამის ფარგლებში სოფლებში საერთო სარგებლობის არასაცხოვრებელი შენობების, გზების, ხიდების, ელექტროგადამცემი ხაზების, საკანალიზაციო და წყლის სისტემების და სხვა შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია, სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა და სხვა მიმდინარე სამუშაოების შესრულება.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)



მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

3.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 47 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 4400 ბავშვი. სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსება გათვალისწინებულია ვაუჩერული სისტემით, კერძოდ: 1-დან 30 ბავშვის ჩათვლით თითოეულ ბავშვზე 75 ლარი თვეში, ხოლო იმ საბავშვო ბაგა-ბაღში, სადაც ირიცხება 30 ბავშვზე ზემოთ თითოეულ ბავშვზე 60 ლარი თვეში. იმ საბავშვო ბაგა-ბაღებში დაფინანსება, სადაც ირიცხება 10 და ნაკლები ბავშვი მოხდეს არანაკლებ თვეში 800 ლარისა. აღნიშნული ქვეპროგრამით გორის მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას, კვების და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

აღნიშნული ქვეპროგრამით მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას, კვების და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით. გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსება სპორტული ცენტრის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებას.

4.1.1. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოღვაწეობს მრავალი წარმატებული ადამიანი, რომელთა საქმიანობა მიმართულია სპორტული ცხოვრებისაკენ. მუნიციპალიტეტი ახორციელებს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ჭიდაობის, კრივის და ფეხბურთის სფეროში წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების გარკვეული თანხით წახალისება.

4.1.2. სპორტული სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ცენტრალური სასპორტო, კრივის სპეციალიზირებული და საჭიდაო კომპლექსური სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. სკოლებში 950- მდე მოსწავლე სწავლობს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კალენარულ ტურნირებში და აღწევენ მაღალ შედეგებს.

4.1.3. საჭიდაო დარბაზის მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

სპორტული ტრადიციებიდან გამომდინარე მიმდინარეობს ქალაქში ჭალის დასახლების ტერიტორიაზე



საჭიდაო დარბაზის მშენებლობა, დაგეგმილია დარბაზის მშენებლობის დასრულება, რომელიც ხელს შეუწყობს არა მარტო ტრადიციების შენარჩუნებას, არამედ გაზრდის ამ სახეობის სპორტსმენთა რაოდენობას და სპორტულ შედეგებს.

4.1.4. საცურაო აუზის და მოცურავე თანრიგოსან ბავშვთა სპორტული ჯგუფის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 06)

ცურვის მიმართულებით გამორჩეული სპორტული მონაცემების მქონე მოზარდთა სპორტული წარმატებების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია მოცურავეთა სპორტული ჯგუფის დაფინანსება, რათა მათ ჰქონდეთ სათანადო სავარჯიშო პირობები საცურაო აუზზე. სპორტული ჯგუფი დაკომპლექტებულია 34 თანრიგოსანი მოზარდით. ასევე იგეგმება საცურაო აუზის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

4.1.5. საფეხბურთო კლუბი „დილას“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კლუბთან არსებული საფეხბურთო სკოლის ადმინისტრაციის და გუნდის მიმდინარე ხარჯების სუბსიდირება. კლუბთან ფუნქციონირებს ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპორტული სკოლა და სტადიონი, რომელთა მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ ცხოვრებაში, ინტელექტუალური და სპორტული ღონის ამალგა აღსაზრდელებში, პერსპექტიული სპორტსმენების მზადება ნაკრები გუნდებისათვის, სათანადო სპორტული ღონისძიებების მომზადება-ჩატარება და ამპუტანტ ფეხბურთელთა ხელშეწყობა.

4.1.6. სპორტული ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 08)

დაგეგმილია სპორტული ცენტრის სრულად აღჭურვა საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზით, რათა სრულად განახორციელოს სპორტული ღონისძიებების და ცენტრალური სასპორტო სკოლის, საჭიდაო სკოლის, კრივის სკოლის და ტურისტული ცენტრი „ტონთიოს“ აღსაზრდელთა სხვა და სხვა ტურნირებში, ლაშქრობებში, ალპინიადებში და ჩემპიონატებში მონაწილეობის ორგანიზება.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს 6 სამუსიკო სკოლის და სამხატვრო სკოლის დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტი კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში აგრძელებს ბიბლიოთეკების, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, თეატრის, მუსიკალური კოლექტივების, მწერალთა და საგამომცემლო საქმიანობის და დასვენების ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, გეგმავს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობას, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების დაფინანსებას.

4.2.1. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარებისათვის და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის მუნიციპალიტეტი ახორციელებს დაფინანსებას წარმატებული და ნიჭიერი ახალგაზრდების და ხელოვანების ხელშეწყობის მიზნით, რათა მათ შეძლონ შესაძლებლობების სრულად გამოვლენა. ასევე გეგმავს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობას, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების დაფინანსებას.

4.2.2. სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს 6 სამუსიკო სკოლის და სამხატვრო სკოლის დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. სამუსიკო სკოლები დაკომპლექტებულია 850-მდე მოსწავლით, ხოლო სამხატვრო სკოლა 130-მდე მოსწავლით. მუნიციპალიტეტის მიერ არსებული ვალდებულების



ფარგლებსი დასრულდება ქალაქ გორის სამუსიკო სკოლის და სამხატვრო სკოლის რეაბილიტაცია.

4.2.3. ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ ინტელექტუალური დონის ამაღლების, ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვისათვის ხელშეწყობა. ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და არსებული წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით.

4.2.4. მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს ახალგაზრდობისათვის იმ ცოდნისა და ქცევის ნორმების შექმნას რაც უზრუნველყოფს მათ მზადყოფნას ყოველდღიური ცხოვრებისათვის, ხელს უწყობს მოზარდთა ინტერესების შესაბამისად სამეცნიერო-შემოქმედებითი, მოქალაქეობრივი და ესტეტიკური მიმართულებებით მოქნილი პროგრამების შემუშავება-განხორციელებას და აქტიური ინტელექტუალური ახალგაზრდობის გამოვლენას. ასევე პროგრამა ხელს უწყობს მოსახლეობის დადებითი განწყობის შექმნას დღესასწაულების მიმართ, ქართული კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებას. ცენტრი უზრუნველყოფს სხვა და სხვა სადღესასწაულო დღეებში გასართობი სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზებას.

4.2.5. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაფინანსება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული საგანძურის დაცვას, სამუზეუმო ექსპონატების გამოფენას, მოძიებას, კვლევა - შენახვასა და სამეცნიერო შესწავლას. გარდა ამისა იგეგმება ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია.

4.2.6. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის შენობის დაცვა.

4.2.7. მწერალთა სახლის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლიტერატურული კონსულტაციების გაცემა, მწერალთა შემოქმედებითი საღამოების ორგანიზება, ლიტერატურული ნაშრომების პრეზენტაცია, მწერალთა შემოქმედების პოპულარიზაცია ბეჭდვითი და ელექტრონული გამოცემების მეშვეობით.

4.2.8. საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 08)

